



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000051039214920

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 13

01 / აპრილი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს 90-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“ დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი

ანგარიში ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

დოკუმენტი მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების პროცენტულ მაჩვენებლებსა და ბალანსს, ასევე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაციას წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის, ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის შესახებ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	2019 წლის გეგმა			2019 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	17,930.8	9,993.5	7,937.3	17,810.2	10,334.3	7,475.9
გადასახადები	8,310.6	8,310.6	-	8,814.9	8,814.9	-
გრანტები	8,429.8	492.5	7,937.3	7,968.4	492.5	7,475.9
სხვა შემოსავლები	1,190.4	1,190.4	-	1,026.9	1,026.9	-
II. ხარჯები	8,758.5	8,586.6	171.8	8,568.0	8,406.7	161.4
შრომის ანაზღაურება	1,794.8	1,794.8	-	1,774.7	1,774.7	-
საქონელი და მომსახურება	1,101.1	929.3	171.8	1,053.7	892.3	161.4
პროცენტი	211.2	211.2	-	209.2	209.2	-
სუბსიდიები	5,127.3	5,127.3	-	5,055.8	5,055.8	-
გრანტები	52.0	52.0	-	52.0	52.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	376.2	376.2	-	329.8	329.8	-
სხვა ხარჯები	95.8	95.8	-	92.9	92.9	-
III. საოპერაციო სალდო	9,172.3	1,406.9	7,765.5	9,242.1	1,927.6	7,314.5

IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	11,807.2	2,015.1	9,792.2	10,159.1	1,668.9	8,490.2
ზრდა	11,907.2	2,115.1	9,792.2	10,241.0	1,750.8	8,490.2
კლება	100.0	100.0	-	81.9	81.9	-
V. მთლიანი სადღო	- 2,634.9	- 608.2	- 2,026.7	- 917.0	258.7	- 1,175.7
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	- 2,732.4	- 705.7	- 2,026.7	- 1,014.5	161.2	- 1,175.7
ზრდა	-	-	-	-	-	-
კლება	2,732.4	705.7	2,026.7	1,014.5	161.2	- 1,175.7
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 97.5	- 97.5	-	- 97.5	- 97.5	-
კლება	97.5	97.5	-	97.5	97.5	-
VIII. ბალანსი	- 0.0	- 0.0	0.0	0.0	0.0	0.0


საშემოსავლო ნაწილი

შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 18030,8 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 17892,0 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,2% (საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენდა 10093,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 10416,2 ათასი ლარი.)

- შემოსავლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - **17930,8** ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 17810,2 ათ. ლარი. წლიური გეგმის 99,3% (საკუთარი შემოსავლების ოდენობა გეგმით შეადგენდა 9993,5 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 10334,3 ათასი ლარი).
- არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო- 100,0 ათ. ლარით. 12 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 81,9 ათ. ლარი. წლიური გეგმის 81,9%.

შემოსავლები: 2019 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსავლების ოდენობამ წლიური გეგმის მიმართ შეადგინა 99,3 %. ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი გამოიყურება შემდეგნაირად:



ა) გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ - 8310,6 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 8814,9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 106,1 %. საიდანაც

- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 6585,6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 6967,9 ათასი ლარი. გეგმის 105,8%.
- ✓ ქონების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობა - 1725,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 1847,0 ათ.ლარი. გეგმის 103,5% აქედან,
 - საწარმოთა ქონების ფაქტიური შემოსავალი - 1288,6 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მოცულობის (1245,0 ათასი ლარი) 103,5 %.
 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური შემოსავალი - 463,0 ათასი ლარი წლიური საპროგნოზო მოცულობის (444,0ათასი ლარი) 104,3%.
 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის ფაქტიური ოდენობა - 84,9 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (36,0 ათასი ლარი) 235,8%

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების (ტრანსფერები) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 8429,8 ათასი ლარი. ფაქტიურად მიღებული იქნა 7968,4 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) – 295,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის (300,2 ათ.ლარი) 98,4%. აქედან 165,2 ათ. ლარი არის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხა.
- ✓ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიღებული იქნა 7672,9 ათასი ლარი.

გ) სხვა შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1190,4 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1026,9 ათ. ლარი. წლიური გეგმის 86,3 %. აქედან:


დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის ფაქტი	პროცენტული შესრულება
სხვა შემოსავლები	1,190.4	1026,9	86,3%
შემოსავლები საკუთრებიდან	747.2	409,8	54,8%
პროცენტები	50.5	39,2	77,6%
რენტა	696.7	370,6	53,2%
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებელი	600	275,7	46%
- მიწის იჯარიდან შემოსავალი	96,7	94,9	98,1%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	72.0	95,0	131,9%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	32.0	56,7	177,2%
სანებართვო მოსაკრებელი	12.0	27,1	225,8%
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	20.0	27,9	139,5%
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	40.0	38,3	95,8%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	160.0	178,1	111,3%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (გრანტი სპეც. ტექნიკისა და საკობიანოს სკოლის სარემონტო სამუშაოებისთვის (11,2 ათ. ლარი))	211.2	211,2	100%

მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთების საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის

2019 წლის 1 იანვრისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტში ნაშთი შეადგენდა 2696,4 ათ. ლარს. სამუშაოების შეუსრულებლობის გამო ავანსად გაცემული თანხების უკან დაბრუნების შედეგად (2019 წლის განმავლობაში შპს ჯეო-სერვისისგან დაბრუნდა 92,9 ათ. ლარი, შპს არტიფექსისგან 36,0 ათ. ლარი) გახდა 2825,3 ათ. ლარი (სახელმწ. ბიუჯეტის სახსრებიდან 2119,6 ათასი ლარი, საკუთარი სახსრების ნაშთიდან 705,7 ათასი ლარი), რომელიც ბიუჯეტის ცვლილებების შედეგად ასახული იქნა ხარჯებში. 2019 წლის ბოლისათვის ბიუჯეტის ნაშთის ოდენობამ შეადგინა 1687,3 ათასი ლარი. აღნიშნული ნაშთიდან 2019 წლის ბიუჯეტში ასახული იქნა 1659,6 ათ. ლარი. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან 923,1 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ნაშთიდან 736,5 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან 2019 წლის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება 367,5 ათ. ლარი (მათ. შორის მზის ბატარეებისა (171,6 ათ. ლარი) და სპეც ტექნიკის რემონტი (63,5 ათ. ლარი) ათ. ლარი, ხოლო 369,0 არის თავისუფალი ნაშთის სახით, რომელიც განაწილებული იქნა 2020 წლის განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

ინფორმაცია 2019 წლის გადასახდელების შესახებ

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის გეგმით გასაწევი გადასახდელები განისაზღვრა 20763,2 ათ. ლარით. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 18906,5 ათ. ლარი. საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯების ოდენობა 10253,0 ათასი ლარი.



ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2019 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1794,8 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1774,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 98,9%;
2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1101,1 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1053,6 ათ. ლარი, წლიური გეგმის 95,7%. აღნიშნული მუხლიდან დაფინანსდა

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 131,8 ათასი ლარი
 - ✓ მივლინების ხარჯები - 21,6 ათასი ლარი, საიდანაც ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დაიხარჯა 5,9 ათასი ლარი.
 - ✓ ოფისის ხარჯები - 120,2 ათასი ლარი.
 - ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 24,2 ათასი ლარი.
 - ✓ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები - 319,1 ათასი ლარი (აქედან 157,3 ათ. ლარი არის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების, 120,8 საწვავის ხარჯი, 24,1 ათ. ლარი კასრისწყლისა და ილტოს ხეობის ტრანსპორტით მომსახურების, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები 16,9 ათ. ლარი).
 - ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 431,2 ათასი ლარი (აღნიშნული მუხლიდან დაფინანსებულია გარე განათებასა და ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადი და სხვა ხარჯები)
3. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის წლიური გეგმა იყო 211,2 ათ. ლარი, გახარჯულია 209,2 ათ. ლარი. წლიური გეგმის 99,1 %
 4. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 5127,3 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 5055,8 ათასი ლარი. წლიური გეგმის 98,6%.
 5. გრანტების წლიური გეგმა - 52,0 ათ. ლარი, შესრულება 100%.
 6. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 376,3 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 329,8 ათასი ლარი. შესრულება 87,6%
 7. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა განისაზღვრა 95,8 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 92,9 ათასი ლარი. შესრულება 97%
 8. არაფინანსური აქტივების ზრდა წლიური გეგმით განისაზღვრა 11907,3 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 10241,0 ათასი ლარი. წლიური გეგმის 86,0%

ახმეტის მუნიციპალიტეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

➤ მუნიციპალიტეტის საკრებულო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯების 2019 წლის გეგმა განისაზღვრა 539,7 ათ. ლარით. ფაქტიურად გაიხარჯა - 532,4 ათ. ლარი. გეგმის 98,6%

გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კლასიფიკაციის მიხედვით:

1. შრომის ანაზღაურება - 380,0 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურება - 81,7 ათ. ლარი.
3. სხვა ხარჯები (საკრებულოს წევრეთა კომპენსაცია) - 58,9 ათ. ლარი.
4. არაფინანსური აქტივების ზრდა - 11,7 ათ. ლარი.

➤ მუნიციპალიტეტის მერია

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 1873,6 ათ. ლარით. ფაქტიურად ათვისებული იქნა 1826,5 ათ. ლარი. გეგმის 97,5%.

გაწეული ხარჯების ჩამონათვალი კლასიფიკაციის მიხედვით:

1. შრომის ანაზღაურება - 1316,4 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურება - 424,6 ათ. ლარი.

3. სუბსიდიები - 1,0 ათ. ლარი
4. სოციალური უზრუნველყოფა - 2,8 ათ.ლარი.
5. სხვა ხარჯები - 2,0 ათ. ლარი.
6. არაფინანსური აქტივები ზრდა - 79,7 ათ. ლარი. აქედან 3,0 ათ. ლარით რეაბილიტირებულ იქნა დუისის ადმინისტრაციული შენობის ოთახი; დუისის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკ. შედგენისთვის გადახდილ იქნა 11,2 ათ. ლარი; შემენილია 17,0 ათ. ლარის კომპიუტერები; 35,1 ათ. ლარის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები; ოფისისთვის საჭირო სხვადასხვა საგნები - 12,6 ათ. ლარი

➤ **სარეზერვო ფონდი**

2019 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდის გეგმა შედგენდა 56,0 ათას ლარს. ფაქტიურმა ხარჯმა 12 თვეში შეადგინა 53,1 ათ. ლარი, რომელიც გახარჯულ იქნა შემდეგი სახის სამუშაოებისა და საქონლის დასაფინანსებლად:

- სოფ. ყვარელწყალში სტიქიის შედეგად დაზიანებული რკინა-ბეტონის ბოგირის აღდგენა 18,1 ათ. ლარი;
- ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის (8 ოჯახი) საცხოვრებელი სახლის სახურავების რეაბილიტაცია - 23,3 ათ. ლარი;
- გასული წლის 19 აპრილს ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე ალაზანმა დაფარა სოფლების მატნის და საკობიანოს მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულები. მდინარის კალაპოტის რეგულირებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩასატარებლად სარეზერვო ფონდიდან გამოიყო თანხა 4,4 ათ. ლარის ოდენობით.
- სოციალური დახმარება ნუგზარ მაზიაშვილს - 800 ლარი.
- სოფელ წინუბანის მკვიდრს ირინე მუთომვილს უბედური შემთხვევის შედეგად გარდაეცვლა გოგონა აიშათ ბადაკაშვილი, როგორც გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახს, სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 500 ლარი.
- 2019 წლის 27 ივლისს ფშაველი-ომალის გზის მონაკვეთზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს დახმარების მიზნით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 6000 ლარი.

➤ **შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები**

შესყიდვებთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 5,3 ათ. ლარი. წლიური გეგმის (6,2 ათ. ლარი) 85,5 %.

➤ **მგფ-ის სესხის დაფარვა**

სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისა“ და "ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და გზის რეაბილიტაციის" გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2019 წელს პროცენტის სახით გადახდილია 209,2 ათ. ლარი. ხოლო ვალდებულება შემცირებულია 97,5 ათ. ლარით. ვალდებულების სრულად დაფარვა მოხდება 2026 წელს. გადასახდელი ვალდებულება შეადგენს 1663,4 ათ. ლარს, აქედან 2020 წელს დაიფარება 260,0 ათ. ლარი.

➤ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

გრანტის სახით გათვალისწინებული იყო 52,0 ათ. ლარი, რომელიც გადაეცა ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთს“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები.

გადარიცხული თანხა მიმართულ იქნა საგამოფენო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ და წარსადგენად კახეთის მხარის (მათ შორის მივლინება და საგამოფენო სტენდის ღირებულება), კახეთზე კლიპის გადასაღებად, კახეთის მასშტაბით ფესტივალების დაფინანსებისათვის და ა.შ.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

➤ სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

წლიურმა გეგმამ შეადგინა 98,9 ათას ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა - 97,7 ლარი. შესრულება 98,8 %.

1. შრომის ანაზღაურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 78,5 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 78,2 ათასი ლარი .
2. საქონელი და მომსახურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 20,4 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 19,5 ათასი ლარი.

2019 წელს სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა 200-მდე წვევამდელი.

ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 10815,1 ათ. ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 9707,4 ათასი ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები - 7138,3 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი 2569,1 ათ. ლარი). წლიური გეგმის 89,8 %

➤ გზების, ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია მოვლა- პატრონობა

გზების, ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენდა 6355,9 ათ. ლარს. ფაქტიურად გაიხარჯა 5904,6 ათ. ლარი . წლიური გეგმის 92,9%.

„რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების დუისი-წინუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაცია 460,5 ათ. ლარი. მ.შ თანადაფინანსების თანხაა 23,0 ათ. ლარი. აღნიშნული გზის სიგრძეა 1250 მეტრი, რომლითაც ისარგებლებს 560-მდე ბენეფიციარი.
2. ქ. ახმეტაში ოძელაშვილის ქუჩაზე მოასფალტდა 550 გრძივი მეტრის გზა, სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 145,3 ათ. ლარი (მ.შ თანადაფინანსება 16,6 ათ. ლარი). ისარგებლებს 460-მდე ბენეფიციარი.
3. ქ. ახმეტაში ევდოშვილის ქუჩის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 67,1 ათ. ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებაა 3,2 ათ. ლარი. აღნიშნული გზის მონაკვეთია 250 გრძივი მეტრი და ისარგებლებს 740-მდე ბენეფიციარი.
4. ქ. ახმეტაში მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 189,0 ათ. ლარი. (მ.შ ადგ. ბიუჯეტის თანადაფინანსება 9,4 ათ. ლარი). რეაბილიტირებულია 1100 გრძივი მეტრის გზა, ისარგებლებს 550-მდე ბენეფიციარი.
5. ქ. ახმეტაში ახმეტელის ქუჩის რეაბილიტაცია - 127,6 ათ. ლარი (მ.შ ადგ. ბიუჯეტის თანადაფინანსება 6,4 ათ. ლარი). რეაბილიტირებულია 550 გრძივი მეტრის გზა, ისარგებლებს 740-მდე ბენეფიციარი.
6. ქ. ახმეტაში ბარათაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 120,6 ათ. ლარი (მ.შ ადგ. ბიუჯეტის თანადაფინანსება 6,0 ათ. ლარი). რეაბილიტირებულია 370 გრძივი მეტრის გზა, ისარგებლებს 650-მდე ბენეფიციარი.
7. სოფ. ახალშენში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 457,7 ათ. ლარი, საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება შეადგენს 22,9 ათ. ლარს. აღნიშნული გზის მონაკვეთია 1100 მეტრი და ისარგებლებს 650-მდე ბენეფიციარი.
8. ქ. ახმეტაში საბეროს შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 167,1 ათ. ლარი (ადგ. ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 8,4 ათ. ლარი). მოასფალტდა 670 გრძივი მეტრის გზა. ისარგებლებს 250-მდე ბენეფიციარი.
9. სოფელ შახვეტილასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე ჯამურად გაიხარჯა 1315,0 ათ. ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების თანხა შეადგენს 65,7 ათ. ლარს. რეაბილიტირებულ იქნა 3,7 კილომეტრის გზა და აღნიშნული მონაკვეთით ისარგებლებს 1600-მდე ბენეფიციარი.
10. ქ. ახმეტაში კოსტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებმა შეადგინა 69,8 ათ. ლარი. (ადგ. ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 3,5 ათ. ლარი). რეაბილიტირებულია 285 გრძივი მეტრის გზა, ისარგებლებს 500- მდე ბენეფიციარი.
11. სოფ. ზემო ალვანის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 248,1 ათ. ლარი. (ადგ. ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 17,4 ათ. ლარი). სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთმა შეადგინა 1 კილომეტრი, ისარგებლებს 350- მდე ბენეფიციარი.
12. სოფელ მატნის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაიხარჯა სულ 287,2 ათ. ლარი. აქედან 16,2 ათ. ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება, 184,8 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით დაფინანსებული, ხოლო 86,2 ათ. ლარი არის გასული წლების მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ეკონომიდიდან (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №1082 განკარგულება).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან 2019 წელს დასრულდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ახმეტაში ფშავის ქუჩის რეაბილიტაცია 2,3 ათასი ლარი;
- ქ. ახმეტაში თიანეთის ქუჩის რეაბილიტაცია 3,7 ათასი ლარი;

- ქ. ახმეტაში წყაროების გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება - 395,6 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში გაგარინის ქუჩის რეაბილიტაცია - 205,5 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში გურამიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 102,6 ათ. ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 11,4 ათ. ლარი);
- ქ. ახმეტაში ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 106,8 ათ. ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 13,2 ათ. ლარი);
- სოფელ დუისი-წინუბნის დამაკავშირებელი გზა - 293,2 ათ. ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 23,5 ათ. ლარი);

ხოლო მიმდინარეობს:

- სოფელ ხორხელთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 304,5 ათ. ლარი დაიხარჯა 2019 წელს და 2020 წელს დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ოდენობა შეადგენს 93,2 ათ. ლარს;
- ქ. ახმეტაში წყაროების გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთების სამუშაოებისათვის 2019 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 422,5 ათ. ლარი (აქედან 26,9 ათ. ლარი არის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 ნოემბრის №2355 განკარგულებით დაფინანსებული (ეკონომიების განკარგულება)), 2020 წელს დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ოდენობა შეადგენს 50,3 ათ. ლარს;

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- თუშეთის შიდა გზების რეაბილიტაცია - 74,4 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ჭანტურის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა 2019 წელს - 109,2 ათ. ლარი
- გზებზე ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 311,8 ათ. ლარი
- გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის ხარჯი 77,6 ათ. ლარი

➤ წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 383,5 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 366,4 ათასი ლარი.

დაფინანსდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ მატნის წყალმომარაგებისა და სათავის მოწყობისთვის გაიხარჯა 141,0 ათ. ლარი, საიდანაც საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში გადახდილია 133,9 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებაა 7,1 ათ. ლარი. რეაბილიტირებული ობიექტით ისარგებლებს 3500-მდე ბენეფიციარი.
- სოფელ აწყურის სასმელი წყლის სისტემის (ჭაბურღილი) მოწყობის ხარჯმა შეადგინა 121,3 ათ. ლარი. აქედან საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად გადახდილია 115,3 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 6,0 ათ. ლარი. აღნიშნული ობიექტით ისარგებლებს 580-მდე ბენეფიციარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან ასევე გახარჯულია:

- ჭაბურღილებზე მოხმარებულ ელ. ენერჯის გადასახადი 75,1 ათ. ლარი
- სოფ. ხორბალოს ჭაბურღილისთვის შეძენილი წყალსაქაჩი ტუმბო - 1,7 ათ. ლარი

- სოფლების აწყურისა და ხორბალის სასმელი წყლის ჭაბურღილზე აღრიცხვის კვანძის მოწყობა 2,4 ათ. ლარი
- სასმელი წყლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაროცხვო დოკუმენტის შედგენა - 10,5 ათ. ლარი
- წყლების რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 13,1 ათ. ლარი

➤ **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 720,6 ათ. ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 605,0 ათ. ლარი. გეგმის 84,0%.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით დაფინანსდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. სოფელ ქვემო ალვანში მდინარე ალაზანის კალაპოტის დადრმავება-გასწორხაზოვნებისათვის განკარგულებით გამოყოფილი იყო 314,3 ათ. ლარი. ტენდერის ჩატარებით სამუშაოების სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 251,1 ათ. ლარით და გაიხარჯა სრულად.
2. მდინარე ზ. ხოდაშნის ხევის კალაპოტის დადრმავება-გასწორხაზოვნებისთვის განკარგულებით გამოყოფილი თანხა იყო 152,5 ათ. ლარი. ტენდერის მიხედვით სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 107,7 ათ. ლარით და გაიხარჯა სრულად.
3. სოფელ მატანში მდინარე ილტოს კალაპოტის დადრმავება-გასწორხაზოვნებისათვის განკარგულებით გამოყოფილი თანხაა 96,0 ათ. ლარი და გაიხარჯა სრულად.
4. სოფელ მატანში მდინარე ალაზანის კალაპოტის რეგულირება დამცავი დამბის მოწყობის სახელშეკრულებო თანხაა 106,1 ათ. ლარი. ჩატარდა 101,5 ათ. ლარის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

- ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ, 2019 წელს განსახორციელებელი სტიქიის პრევენციის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებზე გასაწევი მომსახურების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაროცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება -16,8 ათ. ლარი;
- ნაპირსამაგრი სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა - 30,4 ათ. ლარი.

➤ **გარეგანათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

გარე განათების ექსპლუატაციასა და რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხების მოცულობამ წლიური გეგმით შეადგინა 365,1 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 362,3 ათ. ლარი. წლიური გეგმის 99,2%. აქედან:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით ქ. ახმეტაში ალ. ყაზბეგისა და სანაპიროს ქუჩებზე მოეწყო გარე განათება ღირებულებით - 120,4 ათ. ლარი (მ.შ ადგ. ბიუჯეტის თანადაფინანსება 6,0 ათ. ლარი).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე დაფინანსდა:

- გარე განათების მოწყობაზე ტექნიკური ზედამხედველობა 6,6 ათ. ლარი;
- გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურება 5,1 ათ. ლარი;
- გარე განათების ქსელებზე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება - 230,3 ათ. ლარი.

➤ ხეების გაწმენდა ნატანისგან

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 ივნისის #1355 განკარგულების შესაბამისად, 2019 წლის მაისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 700,0 ათ. ლარი. საიდანაც 2019 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 466,7 ათ. ლარი. ანუ გეგმის 66,7%. აღნიშნული გამოიწვია არაკეთილსინდისიერ შემსრულებელთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, რომელიც შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ დარეგისტრირებულ იქნა შავ სიაში და სამუშაოები ახალი ტენდერის ჩატარების შემდეგ გაგრძელდა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი თანხების შესაბამისად, ქ. ახმეტაში მდ. ორვილის კალაპოტი გაიწმინდა ნატანისგან, სამუშაოები გაგრძელდა 2019 წელს და დაიხარჯა 33,1 ათ. ლარი. ასევე გადახდილ იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მასზე ტექნიკური ზედამხედველობის თანხა 1,7 ათ. ლარის ოდენობით.

➤ სპეც. ტექნიკის შეძენა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 ივლისის №1668 განკარგულების შესაბამისად ელექტროენერგიის გარეშე არსებულ დასახლებებში მაცხოვრებლებისათვის მზის პანელების საშუალებით ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მისი ტექნიკური მხარდაჭერის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ენერჯეტიკის პროგრამის (USAID Energy Program) ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა 25 ერთეული მზის პანელის შეძენა (ერთი ერთეულის ფასი 14 300 ლარი), რომლის ჯამური თანხაც შეადგენს 357,5 ათ. ლარს. 2019 წელს შეძენილ იქნა 13 მზის პანელი, თანხით 185,9 ათ. ლარი, ხოლო 12 ცალი მზის პანელის შეძენა მოხდება მიმდინარე წელს.

2019 წელს შეძენილი 13 მზის პანელი დამონტაჟდა შემდეგ სოფლებში:

1. ბუღაანი 6 ცალი - 85800 ლარი;
2. ჯაბური 1 ცალი - 14300 ლარი;
3. ბუხრები 2 ცალი - 28600 ლარი;
4. ინგეთი 1 ცალი - 14300 ლარი;
5. ჩოფჩაური 3 ცალი - 42900 ლარი.

2020 წელს შეძინილ იქნება:

1. თუშეთის ომალოსთვის 9 ცალი თანხით 128,7 ათ. ლარი;
2. ბოჭორნასთვის 1 ცალი - 14,3 ათ. ლარი;

3. ქეშო 1 ცალი - 14,3 ათ. ლარი
4. ჩილო 1 ცალი - 14,3 ათ. ლარი

ახმეტის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით სახელმწიფოს მიერ გადმოეცა 3 ერთეული სპეც. ტექნიკა და „ახმეტის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ხელშესაწყობად ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის №2081 განკარგულებით გამოეყო 200,0 ათ. ლარი, აღნიშნული სპეც. ტექნიკის რემონტისთვის. აქედან გახარჯულია 136,5 ათ. ლარი.

➤ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საქართველოს მთავრობის N45 განკარგულებით გამოყოფილ იქნა 706,0 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 692,6 ათ. ლარი. გეგმის 98,1%, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გახარჯულია 12,2 ათ. ლარი.

განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლების მიხედვით:

1. არგოხი

- ელ.გადამცემი ხაზების კაპიტალური რემონტი - 4166 ლარი;
- გარე განათების მოწყობის სამუშაოები - 5616 ლარი;
- საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 6216 ლარი;

2. კოჯორი

- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 7577 ლარი.
- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 1892 ლარი.

3. ალავერდი

- სანიაღვრე არხის გაწმენდა - 2439 ლარი;
- სასაფლაოს შემოღობვა - 3057 ლარი;
- საძოვრების გასუფთავება - 4121 ლარი;

4. საჩალე

- დასასვენებელი მოედნის გადახურვა - 5118 ლარი;
- სკვერის მოწყობა - 3090 ლარი;
- გარე განათების ქსელზე დაერთება - 400 ლარი.

5. შახვეტილა

- შიდა გზის რეაბილიტაცია - 6681 ლარი;
- გარე განათების მოწყობა - 2682 ლარი;

6. ბულაანი

- გზის რეაბილიტაცია - 9578 ლარი

7. ზემო ხალაწანი

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 4022 ლარი;
- გარე განათების მოწყობა - 3661 ლარი.

8. შუა ხალაწანი

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 6825 ლარი;
- საუბნო გზის რეაბილიტაცია - 2379 ლარი.

9. ბაყილოვანი

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 7141 ლარი;
- სანიაღვრე არხის მოწყობა - 2409 ლარი.

10. ახალშენი

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 3951 ლარი;
- სასაფლაოს ტერიტორიაზე ფანჩატურის მოწყობა - 7646 ლარი.

11. არაშენდა

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 7748 ლარი;
- ხევის ნაპირსამაგრის მოწყობა - 1462 ლარი.

12. ახშნის ველები

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 11576 ლარი.

13. ჭართალა

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 3819 ლარი;
- გარე განათების მოწყობა - 3942 ლარი.
- გარე განათების ქსელზე დაერთების ხარჯი - 400 ლარი.

14. საბუე

- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 9631 ლარი

15. ჩაჩხრილა

- საუბნო გზის რეაბილიტაცია - 5656 ლარი;
- გარე განათების მოწყობა - 3051 ლარი;
- გარე განათების ქსელზე დაერთების ხარჯი - 400 ლარი.

16. ქვემო ხალაწანი

- სასაფლაოს შემოღობვა - 3478 ლარი;
- სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 4691 ლარი.

17. ომალო

- საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 17 239 ლარი;
- სასმელი წყლის მოწყობა - 10051 ლარი.

18. ოჯიო

- სასაფლაოს შემოღობვა - 15080 ლარი.

19. ჯოყოლო

- ადმინისტრაციული შენობის ეზო-ღობის რეაბილიტაცია 2539 ლარი;
- ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია - 12227 ლარი.

20. ბაბანური

- კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 9317 ლარი.

21. კოლოთო

- სპორტული მოედნის სამშენებლო მასალა - 3784 ლარი;
- სპორტული საქონლის შეძენა - 16000 ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 4000 ლარი).

22. საკობიანო

- საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა - 2872 ლარი;
- გარე ბოდიბილდინგის მოედნის მოწყობა - 9973 ლარი.

23. აწყური

- სარწყავი არხის საირიგაციო სამუშოები - 10691 ლარი;
- სამელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია - 3023 ლარი.

24. დედისფერული

- საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 9538 ლარი.

25. კუწახტა

- სასაფლაოს ტერიტორიის კეთილმოწყობა - 9191 ლარი.

26. ზემო ალვანი

- სასაფლაოს შემოღობვა - 19063 ლარი.

27. **ხორხელი**
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 4523 ლარი;
 - გარე განათების მოწყობა - 6596 ლარი.
28. **ხველიანდრო**
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 5383 ლარი;
 - ხიდის რეაბილიტაცია 3618 ლარი.
29. **ჩარეკაული**
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 5040 ლარი;
 - სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია - 3705 ლარი;
30. **ქორეთი**
- საკანალიზაციო და წყლის სისტემის რეკონსტრუქცია - 11638 ლარი.
31. **ქვემო ალვანი**
- გარე განათების მოწყობა - 18935 ლარი.
32. **დუმასტური**
- სპორტ დარბაზისთვის სპორტული საქონლის შეძენა - 10000 ლარი;
 - საბავშვო ატრაქციონების შეძენა - 1980 ლარი.
33. **ბოჭორნა**
- სასმელი წყლის მოწყობა - 10051 ლარი.
34. **დიკლო**
- სასმელი წყლის მოწყობა - 9864 ლარი.
35. **შენაქო**
- თავშეყრის ადგილის მოწყობა - 10001 ლარი.
36. **ჩაბინაანი**
- სპორტ. მოედნის რეაბილიტაცია - 9457 ლარი.
37. **ფიჩხოვანი**
- გარე განათების მოწყობა - 9794 ლარი.
38. **ქისტაური**
- რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის და წყალმომარაგების მილის მოწყობა - 14861 ლარი;
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 4689 ლარი.
39. **ხევისჭალა**
- შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 19300 ლარი.
40. **ნადუქნარი**
- სასმელი წყლის სათვე ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაცია - 9574 ლარი.
41. **ბირკიანი**
- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 10639 ლარი
 - საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა - 2490 ლარი.
42. **წინუბანი**
- სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 10802 ლარი.
43. **მატანი**
- წყაროს მოწყობის სამუშაოები - 3882 ლარი;
 - გარე განათების მოწყობა - 6091 ლარი;
 - რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა - 8937 ლარი;
 - გარე განათების მოწყობა - 1295 ლარი;
 - გარე განათების ქსელზე დაერთების ხარჯი - 400 ლარი.
44. **ახშანი**
- სკვერის მოწყობა - 11079 ლარი.

45. **ყვარელწყალი**
 - სათავეებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 928 ლარი;
 - შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 7968 ლარი;
 - სასმელი წყლის სათავეების მოწყობა - 2634 ლარი.
46. **ჯვარბოსელი**
 - სახიდე კონსტრუქციის სამასალე ელემენტები - 9994 ლარი
47. **ფარსმა**
 - სახიდე კონსტრუქციის სამასალე ელემენტები - 9994 ლარი.
48. **მალრანა**
 - სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 15200 ლარი.
49. **ჯაბური**
 - სარწყავი არხის მოწყობა - 4212 ლარი;
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 3632 ლარი.
50. **დუისი**
 - გარე განათების მოწყობა - 16287 ლარი
51. **ზემო ხოდაშენი**
 - სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია - 13441 ლარი;
 - სასმელი წყლის მილის ღირებულება - 6200 ლარი.
52. **ახალდაბა**
 - სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია - 7385 ლარი
53. **კასრისწყალი**
 - კულტურის სახლის კაპიტ. რემონტი - 20182 ლარი (მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 8,2 ათ. ლარი).
54. **ვეძები**
 - შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 9750 ლარი;
55. **ხორბალო**
 - სკვერის მოწყობა - 6763 ლარი;
 - სანიაღვრე არხის მოწყობა - 2897 ლარი;
56. **ბუხრები**
 - სასმელი წყლის რეაბილიტაცია -1415 ლარი;
 - გზის რეაბილიტაცია - 2934 ლარი;
 - სასმელი წყლის სათავისა და ქსელის რეაბილიტაცია 3678 ლარი.
57. **ძიბახევი**
 - სკვერის მოწყობა - 3229 ლარი;
 - სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 8383 ლარი.
58. **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 15 924 ლარი.**

➤ ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის ფუნქციონირებისათვის

2019 წელს გეგმით გამოყოფილი იყო 632,0 ათასი ლარი, საიდანაც 30,0 შეადგენდა არაფინანსური აქტივების ზრდას. ა(ა)იპის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 613,0 ათასი ლარი. წლიური გეგმის 97%

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრის ფუნქციონირებისათვის

2019 წლის გეგმით გამოყოფილი იყო 331,7 ათასი ლარი, საიდანაც ხარჯების მუხლით გათვალისწინებული იყო 273,7 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 58,0 ათასი ლარი. განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე დახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 324,6 ათასი ლარი. წლიური გეგმის 97,9%.

საგანმანათლებლო ღონისძიებები

საგანმანათლებლო ღონისძიებების წლიური გეგმით განსაზღვრული იყო 3686.5 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 3349.1 ათასი ლარი. წლიური გეგმის 90,8%.

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ფუნქციონირებისათვის

2019 წელს გეგმით გამოყოფილი იყო 1871,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1869,5 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,9%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 1191.3 ათ. ლარი, ხოლო ბავშვთა კვებაზე 470.0 ათ. ლარი. კაპიტალური ხარჯი შეადგენს 26,7 ათ. ლარს.

- სკოლამდელი განათლების არაფინანსური

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1046,6 ათ. ლარი. გაიხარჯა 870,6 ათ. ლარი. ანუ წლიური გეგმის 83,2%.

- საქ. მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებით სოფ. ქვ. ალენის №1 საბავშვო ბაღის შენობა ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ნაშთის ოდენობა შეადგენდა 237,9 ათასი ლარს, რომლის საკასო ხარჯმა 2019 წლის ბოლოსთვის შეადგინა 106,5 ათ. ლარი. დღეისათვის გრძელდება სამუშაოები.
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში ქ. ახმეტის N1 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 613,8 ათ. ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებაა 30,7 ათ. ლარი. ობიექტით ისარგებლებს 185-მდე ბენეფიციარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ მუნიციპალიტეტში არსებულ ბაღებს რეაბილიტაცია ჩატარდათ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით. სახელშეკრულებო ღირებულებამ მთლიანობაში შეადგინა 77,1 ათ. ლარი, ხოლო საკასომ 51,7 ათ. ლარი, რადგან საბოლოო ანგარიშწორებისთვის საჭირო იყო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, რაც ვერ მოესწრო 2019 წელს.
- ✓ სოფელ ჯოყოლოს საბავშვო ბაღისთვის შემენილ იქნა მზის პანელები 14,4 ათ. ლარის ღირებულების.
- ✓ მატნის #2 და ქ. ახმეტის #1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 45,8 ათ. ლარი;
- ✓ ბაღების რეაბილიტაციაზე ტექნიკური ზედამხედველობისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 38,4 ათ. ლარი.

➤ ზოგადი განათლება

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების შესაბამისად:

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ მიზნობრივი ტრანსფერის სახით ახმეტის მუნიციპალიტეტს გადმოსცა 167,7 ათ. ლარი, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით. აქედან ათვისებულ იქნა 157,3 ათ. ლარი, 3,2 ათ. ლარი წარმოადგენს 2020 წლის ნაშთს, ხოლო 7,2 ათ. ლარი დაბრუნებულია უკან.
- სსიპ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით ახმეტის მუნიციპალიტეტს გრანტის სახით გადმოსცა 590,0 ათ. ლარი. 2019 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 451,8 ათ. ლარი. ხოლო დარჩენილი თანხა ასახულია 2020 წლის ბიუჯეტში. დაფინანსდა შემდეგ ინფრასტრუქტურული ობიექტები:
 - ✓ საჯარო სკოლების საპოექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 16520 ლარი,
 - ✓ ქ. ახმეტის №1 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - 28174 ლარი,
 - ✓ ქ. ახმეტის №2 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - 31883 ლარი,
 - ✓ ქ. ახმეტის №3 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - 30488 ლარი,
 - ✓ სოფ. ოჟიოს საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - 9947 ლარი,
 - ✓ სოფ. ქისტაურის საჯარო სკოლაში სახურავის მოწყობის სამუშაოები - 79475 ლარი,
 - ✓ სოფ. აწყურის საჯარო სკოლაში დარბაზის იატაკისა და საკლასო ოთახების რეაბილიტაცია - 23143 ლარი,
 - ✓ სოფ. არგოხის საჯარო სკოლაში შიდა ხის კიბის მოწყობა - 3899 ლარი,
 - ✓ სოფ. მატნის №1 საჯარო სკოლაში სახურავისა და გარე სველი წერტილის მოწყობა - 56468 ლარი,
 - ✓ სოფ. შუა ხალაწის საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრების, სახურავისა და ცენტრალური გათბობის მოწყობა - სახელშეკრულებო თანხა 79646 ლარი, საკასო შესრულება - 59725 ლარი (საბოლოო ანგარიშწორებისთვის საჭიროა ექსპერტიზის დასკვნა),
 - ✓ სოფ. ბაბანეურის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია - 24404 ლარი,
 - ✓ სოფ. ახშნის ველების საბაზო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა - 10588 ლარი,
 - ✓ სოფ. ქვ. ალვანის საჯარო სკოლის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია - 19259 ლარი,
 - ✓ ს. საკობიანოს საჯარო სკოლის ცალკე მდგარ შენობაში სახურავის, იატაკისა და ფსადის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულებაა 26,964 ლარი, საიდანაც მპს „საკობიანო XXI“-ს მიერ ჩარიცხული გრანტია 11190 ლარი. 2019 წლის საკასო შესრულებაა - 20880 ლარი.
 - ✓ სოფ. კასრისწყლის საჯარო სკოლის ფანჯრების მოწყობის სახელშეკრულებო ღირებულებაა 40869 ლარი. 2019 წელს შესრულებამ შეადგინა 20860 ლარი.
 - ✓ სოფ. აწყურის საჯარო სკოლის კარებების მოწყობის სახელშეკრულებო ღირებულებაა - 23351 2019 წელს საკასო შესრულებამ შეადგინა 15880 ლარი.

სპორტულ - კულტურული ღონისძიებები

სულ სპორტულ-კულტურული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 2004,7 ათასი ლარი, წლიური გეგმის (2038,0 ათ. ლარის) 98,4%.

სპორტული - კულტურული ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები ათვისებულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე:

➤ კლუბები

- კასრისწყლის კლუბის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება იყო 11,6 ათ. ლარი. 2019 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 8,8 ათ. ლარი (საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება 2020 წელს, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ).

➤ ახალგაზრდული და სპორტული ორგანიზაციები

ახალგაზრდული ღონისძიებების წლიური გეგმა შეადგენდა 28.9 ათ. ლარს და გაიხარჯა სრულად. განხორციელებული პროექტებია:

1. საგანმანათლებლო მედია პროექტი „ეტალონი“, რომელშიც 200-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და გამოვლინდა ახმეტა-ეტალონი მოსწავლე (თაია ქეთელაური);
2. „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ მიერ კონკურსის ფარგლებში „განავითარე შენი რეგიონი, განავითარე შენი ქალაქი“- გამოვლინდა 2 ახალგაზრდა (დუისის და საკობიანოს სკოლა), რომელნიც გაემგზავრნენ კაზანში;
3. ჩატარდა „ევროპის სპორტის კვირეული“ სპორტის 8 სახეობაში;
4. ახალგაზრდულ სპორტულ-ფესტივალში მნიშვნელოვანი შედეგი აჩვენეს და ფინალურ ტურნირებში მიიღეს მონაწილეობა დუისის საჯარო სკოლამ, მატანის კალათბურთულ გოგონათა გუნდმა, და ზ.ალვანის ფეხბურთულ გოგონათა გუნდმა;
5. ყოველწლიურად ტარდება „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ მუნიციპალური, რეგიონალური, ზონალური და რესპუბლიკური ტურნირები;
6. „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“- ახმეტის მუნიციპალიტეტის გუნდმა კახეთის ჩემპიონატზე დაიკავა მე-2 ადგილი, რესპუბლიკურზე-მეოთხე ადგილი;
7. ჩატარდა ინტელექტუალური ჩემპიონატი რა? სად? როდის?-მუნიციპალურმა გუნდმა დაიკავა რეგიონალური მესამე ადგილი;
8. აგვისტო-სექტემბრის თვეში ახალგაზრდებისთვის სოფლებში ჩატარდა პროექტ- „ახალი თაობის“ მონაწილეების გასვლითი კონცერტები;
9. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით ყველა-ადმინისტრაციულ ერთეულებში შეირჩა 5 კაციანი საინიციატივო ჯგუფები, რომლის შედეგად დაკომპლექტდა და დაფუძნდა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“, რომელთა ორგანიზებით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები (ტრენინგები, პრეზენტაციები, ეკო-კლუბის აქტივობები,ფერების ფესტივალი, შ.შ.მ პირთა ნამუშევრების გამოფენები,სახალხო დღესასწაულები...)

გარდა ამისა მოეწყო დასუფთავების აქციები, დისკოთეკები და სხვა მრავალი აქტივობა.

ასევე დაფინანსდა შემდეგი საბიუჯეტო ორგანიზაციები:

- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფუნქციონირებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 495,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 486,0 ათასი ლარი. წლიური გეგმის 98,2%
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის ზ.ზვიადაურის ძიუდოს სასპორტის სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 210,8 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 207,9 ათასი ლარი. წლიური გეგმის 98,6%
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 332,2 ათასი ლარით. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 326,4 ათასი ლარი. წლიური გეგმის 98,3%
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“ს ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 171,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 166,5 ათასი ლარი. წლიური გეგმის 97,4%
- ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 216,5 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 215,6 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,6%
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 160,7 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 160,1 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,6%
- ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 54,8 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 54,5 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,5%
- ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 171,7 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 169,3 ათასი ლარი. წლიური გეგმის 98,6%
- ა(ა)იპ მუნიციპალური ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 184,1 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 180,5 ათასი ლარი. წლიური გეგმის 99,6%

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით 2019 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 1341.8 ათასი ლარი. ფაქტიურად დაიხარჯა 1024.7 ათასი ლარი. წლიური გეგმის 76,4%

- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 76,1 ათასი ლარით. წლიური გეგმის 96,6%-ით.
- ა(ა)იპ სოციალური სახლის სუბსიდირებამ შეადგინა 317,4 ათასი ლარი (წლიური გეგმის 94,9%). აქედან 300 ბენეფიციარის კვების ხარჯია 147,3 ათასი ლარი.
- ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 80 000-მდე, ასევე მრავალშვილიანი ოჯახებისა

და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთათვის ელექტრო ენერჯის თანადაფინანსების ხარჯმა შეადგინა 5,2 ათ. ლარი, დახმარება გაეწია 52 ბენეფიციარს.

- სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედის მომსახურებისა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანადაფინანსების თანხის ფაქტიურმა ოდენობამ 786 ბენეფიციარზე შეადგინა 253,8 ათ.ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (18 წლამდე) ბავშვები უდემდამო ბავშვები (18 წლამდე) სასურსათო პაკეტი მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის ფაქტიურმა ხარჯმა 6,2 ათ. ლარი
- 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება - 8 ბენეფიციარზე ხარჯმა შეადგინა 0,8 ათ. ლარი
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირებსა (7 ბენეფიციარი) და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებს (8 ოჯახი) გაეწიათ დახმარება. სულ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 3,8 ათასი ლარი.
- პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) - ოჯახების დახმარებამ 73 ბენეფიციარზე შეადგინა 11,4 ათ. ლარი (100 ლარი პირველ ბავშვზე, 200 ლარი მეორე ბავშვზე).
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი (1 ბენეფიციარზე) შეადგინა 250 ლარი
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენისათვის დაიხარჯა 0,9 ათ. ლარი
- დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებმა 17 ბენეფიციარზე შეადგინა 8,5 ათ. ლარი
- განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების ოდენობამ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი იმ ფიზიკური პირების და ოჯახებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან, 52 ბენეფიციარზე შეადგინა 23,9 ათ.ლარი
- უსინათლოთათვის ერთჯერადი დახმარების ოდენობამ 16 ბენეფიციარზე შეადგინა 2,4 ათ. ლარი
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების ოდენობამ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისთვის 8 ბენეფიციარზე შეადგინა 1,2 ათ. ლარი.
- აუტიზმის მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება 3 ბენეფიციარზე 450 ლარი;
- სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის დაქირავება 2 ოჯახისთვის - 0,8 ათ. ლარი
- სამამულო ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება 3 ბენეფიციარზე 0,8 ათ.ლარი.
- კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების წლიური გეგმა შეადგენდა 22,7 ათ. ლარს. გახარჯულია 20,7 ათ. ლარი (დეკემბერში გაწეული სამუშაოების ანაზღაურება მოხდება 2020 წელს).
- წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების ფაქტიური ხარჯები შეადგენს 30,0 ათ. ლარს. წლიური გეგმის 100%-ს

➤ ჯანდაცვის ობიექტების შეკეთება

„ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით დაფინანსებული ობიექტების მშენებლობა - რეაბილიტაციის 2019 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 214,6 ათ. ლარი (წლიური გეგმის 449,0 ათ. ლარის 47,8%):

1. ქ. ახმეტაში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს მშენებლობისათვის ავანსის სახით გაცემულია 41,6 ათ. ლარი (პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 246,8 ათ. ლარი). ობიექტის დასრულების სამუშაოები გაგრძელდება 2020 წელს.
2. სოფელ ომალოს ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია (პანკისი) დასრულდა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 24,9 ათ. ლარი;
3. სოფელ ოჭიოს ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 15,9 ათ. ლარი;
4. სოფელ ჯოყოლოს ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 8,5 ათ. ლარი
5. სოფელ მატანში ამბულატორიის მშენებლობა დასრულდა საკასო ხარჯმა 2019 წლის ბოლოსთვის შეადგინა 56,4 ათ. ლარი (მშენებლობა დასრულდა 2019 წელს. საბოლოო ანგარიშწორება მოხდება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ).
6. სოფელ შახვეტილაში ამბულატორიის მშენებლობა დასრულდა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 30,0 ათ. ლარი
7. სოფელ ზემო ალვანში ამბულატორიის რეაბილიტაცია დასრულდა. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა - 37,3 ათ. ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ხარჯი 2,9 ათ. ლარის ოდენობით.